INFORMATION ინფორმაცია

4TH INTERNATIONAL KARTVELOLOGICAL CONGRESS

IV საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესი

მიმდინარე წლის 25-27 სექტემბერს თბილისში ჩატარდა მეოთხე საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესი რომელიც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ იყო ორგანიზებული. საერთაშორისო კონგრესს ხანგრძლივი მოსამზადებელი სამუშაო უძღოდა, რომელსაც საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი ხელმძღვანელობდა.

კონგრესის მუშაობაში მონაწილეობის იღებდნენ ქართველოლოგები მსოფლიოს სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებიდან: ჰ. ხუდანიანი (სომხეთი); ო. ქაზუმოვი (აზერბაიჯანი); ს. რაპი (აშშ); თ. დრაგაძე, მ. ოდიშელი (დიდი ბრიტანეთი); ნ. იამანიძე (საფრანგეთი); კ. ვამლინგი (შვედეთი); ალესანდრო მ. ბრუნი (იტალია); მ. ნავროთი (გერმანია);ნ. დურა (რუმინეთი); ლ. ჰრიციკი (უკრაინა); ს. ტუმისი(ჩეხეთი); მ. ვერემეიჩიკი, ვ. მენკოუსკი (ბელორუსი); მ. შმიგელი, მ. სმირნი (სლოვაკეთი);ჰ. ხუდანიანი (სომხეთი); ო. ქაზუმოვი (აზერბაიჯანი);მ.სისოევა,ლ.სოლოვიოვა,მ.ალბოგაჩიევა(რუსეთი,მოსკოვი, სანკტ-პეტრებურგი); ბ. ხარსიევი, ი. ალმაზოვი (რუსეთი, ინგუშეთი); ჰ. მაედა (იაპონია); ბ.მ. ქესერი, ბ. მ. აკარსუ, ჰ. ჩიმქე (თურქეთი). კონგრესში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მეცნიერებმა.

25 სექტემბერს საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა გახსნა. მან აღნიშნა, რომ ასეთი მასშტაბის სამეცნიერო ფორუმი სხვადასხვა ქვეყნების ქართველოლოგთა მონაწილეობით უკვე მეოთხედ ტარდება საქართველოში და ამდენად, ტრადიცია გრძელდება.

კონგრესის მონაწილეებს მიესალმნენ: საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შ. პაპუაშვილი; ჭიათურისა და საჩხერის მიტროპოლიტი მეუფე დანიელი ; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი აკადემიკოსი ჯაბა სამუშია.

გახსნის ოფიციალური ნაწილის დასრულების შემდეგ გაიმართა პლენარული სხდომა, რომელსაც აკად. რ. მეტრეველი და ჰ. მაედა თავმჯდომარეობდნენ. პლენარულ სხდომაზე წაკითხულ იქნა მოხსენებები: 1. აკად. რ. მეტრეველი, კავკასია-უძველესი ცივილიზაციის კერა; 2. Aაკად. ხინთიბიძე, იოვანე ათონელის ანდერძ-უძველესი წყარო შუასაუკუნეების ევროპული სასულიერო რომანის – ვარლაამ და იოასაფის შექმნის თაობაზე; 3. პროფ. ნ. დურა, მიხაი იშტვანოვიჩის ცნობები ანთიმოზ ივერიელის, კონსტანტინ ბრინკოვიანუსა და ვახტანგ VI-ის შესახებ და მათი წვლილი ქართული სტამბის შექმნაში; 4. პPროფ. ჰ. მაედა, ქართული სახელმწიფოებრიობა და იმპერიათა ეპოქა. მარტყოფის ბრძოლის მეოთხასე

წლისთავისათვის; 5. პPროფ. ჰ. ხუდანიანი, დასავლეთი საქართველო ადრეული შუა საუკუნეების სომხურ წყაროებში.

პლენარული სხდომის შემდეგ კონგრესის მუშაობა უკვე სექციებში გაგრძელდა.

კონგრესის ფარგლებში ოთხი სექცია მუშაობდა: ენათმეცნიერების, ლიტერატურის, ისტორიისა და პოლიტოლოგიის, არქეოლოგის, ეთნოლოგიისა ხელოვნების ისტორიის, რომლებსაც ქართველ მეცნიერებთან ერთად უცხოელი ქართველოლოგები უძღვებოდნენ. ენისა და ლიტერატურის სექციებმა სამ-სამი სხდომა გამართეს, სადაც წაკითხულ იქნა 37 მოხსენება, მათ შორის, ხუთი უცხოელი მეცნიერის. ისტორიისა და პოლიტოლოგიის სექციამ გამართა ხუთი სხდომა, სადაც მოისმინეს 34 მოხსენება, მათ შორის, შვიდი უცხოელი მკვლევრის. არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სექციამ ჩაატარა ოთხი სხდომა, სადაც წარსდგა 24 მომხსენებელი, მათ შორის, ცამეტი უცხოელი. საერთოდ, კონგრესის მუშაობის განმავლობაში ასზე მეტი მოხსენება იქნა წაკითხული, რომლებიც მიეძღვნა ქართული ენის, ლიტერატურის, საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიის, ხელოვნების ისტორიის აქტუალურ პრობლემებს. აღსანიშნავია, რომ ისტორიისა და პოლიტოლოგიის სექციის ერთი სხდომა მთლიანად დაეთმო მოხსენებებს, რომლებმაც საქართველოსა და მის გარშემო მიმდინარე პოლიტიკური პროცესები პოლიტოლოგების თვალით დაგვანახეს. მოხსენებები გამოირჩეოდნენ კვლევის მაღალი დონით და პრობლემათა მრავალფეროვნებით.

სამდღიანი სამეცნიერო ფორუმი 27 სექტემბერს დაიხურა. სექციების ხელმძღვანელებმა წარმოადგინეს მუშაობის ანგარიშები. კონგრესის შედეგები შეაჯამა საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, აკადემიის პრეზიდენტმა აკად. რ. მეტრველმა.

კონგრესის მიმდინარეობა ფართოდ გაშუქდა მასმედიასა და აკადემიის ვებგვერდზე. კონგრესის გახსნამდე დაიბეჭდა მოსხენებათა თეზისები ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სამიწლისშემდეგსაქართველოკვლავუმასპინძლებსქართველოლოგებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან კვლევის ახალი პრობლემებითა და მიდგომებით.